



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს იურიდიული პირებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში დაგეგმილი „სტერეოტიპების რღვევის“ კამპანიის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე.

ზოგადი აღწერა:

“სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა” არის ევროკავშირის და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით. კონსორციუმში შედიან: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

პროექტის მიზანი:

პროექტის გრძელვადიანი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემოს გაუმჯობესებას, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და გაზარდოს მათი ანგარიშვალდებულება მოქალაქეების მიმართ.

პროექტის ძირითადი ამოცანები:

- სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური მდგრადობის გაზრდა მათ შორის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მონაწილეობით, ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნით და მოხალისეობის ხელშეწყობით;
- სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების, ანგარიშვალდებულებისა და სანდოობის გაზრდა ფართო საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების უკეთ წარმოსაჩენად;
- სამოქალაქო საზოგადოების მედიასთან, ბიზნესთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო აქტიური თანამშრომლობით სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა რეგიონებში;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტორების როლის გაძლიერება პოლიტიკური დიალოგის პროცესში, განსაკუთრებით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელებისას.

უფრო ვრცლად პროექტის შესახებ:

<http://civilin.org/viewproject.php?id=61>

https://www.facebook.com/CSSIGE/?hc_location=ufi

კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანი:

- სამოქალაქო ღირებულებების, აქტივობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პოპულარიზაცია და მათი ცნობადობის გაზრდა;
- ევროკავშირის და განსაკუთრებით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პოპულარიზაცია;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლების, ახალგაზრდებისა და მასწავლებლების ჩართულობის გაზრდა ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევაში.





ტექნიკური დავალება:

მომსახურების ფარგლებში, შერჩეულმა იურიდიულმა პირმა/საინიციატივო ჯგუფმა „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ პროექტის გუნდთან და მრჩეველთა საბჭოსთან თანამშრომლობით, უნდა შეადგინოს პროექტის კომუნიკაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. აღნიშნული გეგმები საფუძვლად დაედება პროექტის მიზნებთან დაკავშირებულ საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების მიმართ არსებული სპეციფიკური სტერეოტიპების რღვევაზე მიმართული კამპანიას.

შესყიდვის ობიექტებია:

- პროექტის სამწლიანი კომუნიკაციის სტრატეგია;
- კომუნიკაციის სტრატეგიის შესრულებისა და მონიტორინგის სამოქმედო გეგმა;
- პროექტის ბრენდის პლატფორმა და ვიზუალური კონცეფცია (ბრენდბუქი).

მოცემული მომსახურების მიწოდება, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგი ამოცანების შესრულებასა და საქმიანობის განხორციელებას:

- **საჭიროებათა ანალიზი** - მომსახურების შესრულების პირველ ეტაპზე არსებული მდგომარეობის ანალიზი უნდა გაკეთდეს, რომლის დროსაც მომწოდებელმა იურიდიულმა პირმა/საინიციატივო ჯგუფმა უნდა შეისწავლოს არსებული საკომუნიკაციო ფონი და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების რესურსები. საჭიროებათა ანალიზისთვის უნდა მოხდეს მეორადი მონაცემების¹ ანალიზისა და თვისებრივი კვლევების მეთოდოლოგიის გამოყენება. მომწოდებელი იურიდიული პირი ან საინიციატივო ჯგუფი სხვადასხვა აქტორებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სამუშაო შეხვედრებში², მიმდინარე მდგომარეობის, საინფორმაციო სივრცეში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გამოსავლენად, რის საფუძველზეც უნდა მომზადდეს სპეციალური შეფასებითი ანგარიში საჭიროებათა ანალიზის საბოლოო მონაცემების შესახებ.
- **სტრატეგიული დაგეგმვა** - მომსახურების მომწოდებელმა იურიდიულმა პირმა ან საინიციატივო ჯგუფმა, პროექტის გუნდისა და მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ერთად, უნდა მართოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, იმისათვის რომ შეიმუშავოს პროექტის სამწლიანი კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვადასხვა აქტივობებთან ერთად, უნდა მოიცავდეს სპეციალურ კამპანიებს, შესაბამის ბიუჯეტს, ასევე მონიტორინგისა და შეფასების სისტემას.

¹ მათ შორის პროექტის განმახორციელებელი კონსორციუმის მიერ ჩატარებული კვლევები - საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ევროინტეგრაციისა და ბიზნეს-კომპანიების მიმართ.

² ერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართება თბილისში, ხოლო 10 შეხვედრა - რეგიონებში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით.



- **თეორიული და ვიზუალური ბრენდინგი** - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის პარალელურად უნდა შეიქმნას პროექტის კომუნიკაციის ბრენდის თეორიული და ვიზუალური პლატფორმა. მომსახურების მომწოდებელმა იურიდიულმა პირმა/საინიციატივო ჯგუფმა ასევე უნდა მოამზადოს ბრენდის პლატფორმისა და ბრენდის ვიზუალური ატრიბუტების გამოყენების სპეციალური ინსტრუქციათა კრებული (ბრენდბუქი).

მომსახურების მოწოდება უნდა გულისხმობდეს შემდეგი სახის საბოლოო პროდუქტების მიწოდებას ქვემოთ მითითებულ ვადებში:

#	პროდუქტი	ვადები
1.	თბილისის და რეგიონული სამუშაო შეხვედრების ფორმატი და დღის წესრიგი	11 ივნისი, 2018
2.	საჭიროებათა ანალიზის შეფასების ანგარიში	9 ივლისი, 2018
3.	სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი	16 ივლისი, 2018
4.	კომუნიკაციის სტრატეგიის პირველადი მონახაზი	30 ივლისი, 2018
5.	კომუნიკაციის სტრატეგიის საბოლოო ვერსია	20 აგვისტო, 2018
6.	სამოქმედო გეგმის და მონიტორინგის სისტემის პირველადი ვერსია	20 აგვისტო, 2018
7.	ბრენდის თეორიული პლატფორმის პირველადი ვერსია	27 აგვისტო, 2018
8.	ბრენდის ვიზუალური კონცეფციის პირველადი ვერსია	27 აგვისტო, 2018
9.	სამოქმედო გეგმის და მონიტორინგის სისტემის საბოლოო ვერსია	3 სექტემბერი, 2018
10.	ბრენდის თეორიული პლატფორმის საბოლოო ვერსია	10 სექტემბერი, 2018
11.	ბრენდის ვიზუალური კონცეფციის საბოლოო ვერსია	17 სექტემბერი, 2018

შენიშვნა: პროექტის საბოლოო პროდუქტების სახით მომზადებული ნებისმიერი დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის მიმართ ევროკავშირის კომუნიკაციის და ხილვადობის სტრატეგიის მოთხოვნებს.

(https://ec.europa.eu/europeaid/communication-and-visibility-manual-eu-external-actions_en)

ყველა დოკუმენტი უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.



შეფასების კრიტერიუმები:

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?

საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ იურიდიულ პირს ან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირების (საინიციატივო) ჯგუფს, რომელსაც მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება აქვს:

- o კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვასა და შექმნაში
- o ბრენდინგისა და ბრენდის ვიზუალური კონცეფციის შექმნაში

შეფასების ცხრილი

შეფასების კომპონენტი		საჭირო ინფორმაცია	შეფასების წონა
გამოცდილება	სტრატეგიული დაგეგმვა	• განხორციელებელი პროექტები	25%
		• სამუშაო გუნდის წევრების გამოცდილება	
		• კლიენტების რეკომენდაციები	
	ბრენდინგი	• განხორციელებელი პროექტები	15%
		• თანამშრომლების/სამუშაო გუნდის წევრების გამოცდილება	
		• კლიენტების რეკომენდაციები	
		• ვიზუალური პორტფოლიო	
მეთოდოლოგია		• ამოცანის სწორად განსაზღვრა; • მიზნების და დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია; • საჭირო რესურსების ანალიზი; • პროექტის მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა	40%
რესურსები		• პროექტის ბიუჯეტი • პროექტის „თაიმლაინი“ • პროექტის სამუშაო გუნდის სტრუქტურა და ფუნქციები	20%



კონკურსის ჩატარების პროცედურა:

გთხოვთ, დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნოთ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები 2018 წ. 28 მაისს, 00:00 სთ-მდე, შემდეგ ელ.ფოსტაზე: temuri@civilin.org

- გამოცდილების აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამუშაო ჯგუფის წევრების რეზიუმეებს, სტრატეგიული გეგმისა და ბრენდინგის მინიმუმ ორ-ორ ნიმუშს ვიზუალური პორტფოლიოს ჩათვლით, ასევე კლიენტების რეკომენდაციებს;
- საპროექტო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს მეთოდოლოგიას, მიდგომებს, პროექტისა და აქტივობების აღწერასა და მოსალოდნელ შედეგებს;
- ბიუჯეტი და თაიმლაინი, ასევე სამუშაო გუნდის წევრების ფუნქციები

გაცნობებთ, რომ 2018 წ. 14 მაისს, 12:00 სთ-ზე გაიმართება საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა პროექტის კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნის მსურველ იურიდიულ პირებთან და საინიციატივო ჯგუფებთან. მის.: 26 მაისის მოედანი 2, V სართული, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისი.

საკონკურსო განაცხადებს განიხილავს პროექტის გუნდი, რომელიც დაუკავშირდება მხოლოდ ინტერვიუსთვის შერჩეულ იურიდიულ პირებსა და საინიციატივო ჯგუფებს. გთხოვთ, დამატებითი კითხვებისთვის მიმართოთ

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს: თემურ ჯალიაშვილს, temuri@civilin.org, ტელ: 599 759 724.

